SEPTEMBER 4 19:00

პინკას ცუკერმანი – ვიოლინო
საიაკა შოჯი – ვიოლინო
ორი კამი – ალტი
ბრაიან ჩენგი – ჩელო
სერგეი ბაბაიანი – ფორტეპიანო

ფელიქს მენდელსონი (1809–1847)
საფორტეპიანო ტრიო No. 1 რე მინორი, თხზ. 49
Molto allegro ed agitato
Andante con moto tranquillo
Scherzo. Leggiero e vivace
Finale. Allegro assai appassionato

იოჰანეს ბრამსი (1833–1897)
საფორტეპიანო კვინტეტი ფა მინორი, თხზ. 34
Allegro non troppo
Andante, un poco adagio
Scherzo. Allegro
Finale. Poco sostenuto – Allegro non troppo –
Presto, non troppo

Pinchas Zukerman – Violin
Sayaka Shoji – Violin
Ori Kam – Viola
Bryan Cheng – Cello
Sergei Babayan – Piano

Felix Mendelssohn (1809–1847)
Piano Trio No. 1 in D Minor, Op. 49
Molto allegro ed agitato
Andante con moto tranquillo
Scherzo. Leggiero e vivace
Finale. Allegro assai appassionato

Johannes Brahms (1833–1897)
Piano Quintet in F Minor, Op. 34
Allegro non troppo
Andante, un poco adagio
Scherzo. Allegro
Finale. Poco sostenuto – Allegro non troppo –
Presto, non troppo

პროგრამის შესახებ
ტექსტის ავტორი ნინო ჟვანია

ფელიქს მენდელსონი – საფორტეპიანო ტრიო No. 1 რე მინორი, თხზ. 49
1839 წელს ფელიქს მენდელსონმა გადაწყვიტა, მიემართა საფორტეპიანო ტრიოს ჟანრისთვის, რომელიც რომანტიზმის ეპოქაში შედარებით ნაკლებად პოპულარული გახლდათ. მენდელსონმა კომპოზიცია პირველ რიგში წარუდგინა თავის მეგობარს, კომპოზიტორსა და პიანისტს ფერდინანდ ჰილერს. ჰილერს ძალიან მოეწონა ტრიო, თუმცა მის ერთ ნაკლს გაუსვა ხაზი: „ზოგიერთი პასაჟი, დაფუძნებული მარტივ დაშლილ აკორდებზე, გულწრფელად რომ ვთქვათ, მოძველებულად ჟღერდა“, - იხსენებდა ფრედერიკ შოპენისა და ფერენც ლისტის მეგობარი ჰილერი, რომელმაც კარგად უწყოდა, რომ „ახალი საფორტეპიანო სკოლის ძირითადი მახასიათებელი პასაჟების სიმდიდრეა“. მენდელსონმა გაითვალისწინა მეგობრის რჩევა და თავიდან ბოლომდე გადააკეთა საფორტეპიანო პარტია, გახადა რა იგი ბევრად უფრო ვირტუოზული და წარმომადგენლობითი. ტრიოს პრემიერის შემდეგ მენდელსონის თანამედროვეებმა - ფანი ჰენზელმა და რობერტ შუმანმა შექმნეს სტილისტურად მსგავსი და ამავე ტონალობის საფორტეპიანო ტრიოები, რაც მენდელსონის თხზ. 49-ს რომანტიკული საფორტეპიანო ტრიოს თავისებურ პროტოტიპად აქცევს. შემთხვევით არ უწინასწარმეტყველა მას იმავე რობერტ შუმანმა ბრწყინვალე და წარმატებული მომავალი: „ეს არის ჩვენი დროის სანიმუშო ტრიო... განსაკუთრებით დახვეწილი თხზულება, რომელიც მომავალში არაერთხელ მოუტანს სიხარულს ჩვენს შვილიშვილებსა და შვილთაშვილებს“. ისტორიამ ცხადყო, რომ შუმანი მართალი იყო.

იოჰანეს ბრამსი – საფორტეპიანო კვინტეტი ფა მინორი, თხზ. 34
ბრამსმა თავისი ერთადერთი საფორტეპიანო კვინტეტი 1862–1864 წლებში შექმნა. ნაწარმოებს რთული და საინტერესო შემოქმედებითი ისტორია აქვს: თავდაპირველად დაიწერა სიმებიანი კვინტეტი, შემდეგ კომპოზიტორმა გარდაქმნა ნაწარმოები სონატად ორი ფორტეპიანოსთვის და მხოლოდ მესამე მცდელობაზე მიიღო თხზულებამ საფორტეპიანო კვინტეტის სახე. ეს გადაწყვეტილება დიდწილად განპირობებული იყო კლარა შუმანისა და მევიოლინე იოზეფ იოახიმის რჩევით. ამ ორმა დიდმა მუსიკოსმა დაინახა, რომ უფრო ძლიერ და დაბალანსებულ ინსტრუმენტულ შემადგენლობაში ნაწარმოები სრულად გამოიყენებდა პოტენციალს. კვინტეტი მიეძღვნა ჰესენის პრინცესა ანას, ბრამსის მუსიკის მფარველსა და მხარდამჭერს. ნაწარმოების პრემიერა გაიმართა 1866 წლის 22 ივნისს ლაიპციგში და საფორტეპიანო კვინტეტი მალევე დამკვიდრდა როგორც მეცხრამეტე საუკუნის კამერული მუსიკის ერთ-ერთი შედევრი, გამორჩეული თავისი სტრუქტურული დახვეწილობით, დრამატული ძალითა და სიმფონიური მასშტაბით. იგი დღემდე რჩება ბრამსის ერთ-ერთ ყველაზე ხშირად შესრულებად კამერულ თხზულებად.

ამ დროს საქართველოში...
1864 წელს, სწორედ მაშინ, როდესაც ბრამსი კვინტეტის საბოლოო ვერსიაზე მუშაობდა, საქართველოში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური გარდატეხა დაიწყო: 13 ოქტომბერს რუსეთის იმპერატორმა თბილისის გუბერნიაში ბატონყმობის გაუქმება დაამტკიცა. რეფორმა მყისიერი და სრულყოფილი თავისუფლება არ ყოფილა, მაგრამ მან მრავალსაუკუნოვანი ფეოდალური წესრიგის დაშლას დაუდო სათავე და მნიშვნელოვნად შეცვალა ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრება.

Programme Notes
Notes by Nino Jvania

Felix Mendelssohn – Piano Trio No. 1 in D Minor, Op. 49
In 1839, Felix Mendelssohn turned to a genre that was relatively neglected by his contemporaries and composed a piano trio. He showed his D-minor Trio to the composer and pianist Ferdinand Hiller. Although impressed by the piece, Hiller still “had one small misgiving. Certain pianoforte passages in it, constructed on broken chords, seemed to me – to speak candidly – somewhat old-fashioned.” A close friend of Chopin and Liszt, Hiller was well aware that “the richness of passages” was one of the defining features of the new pianoforte school. Taking Hiller’s suggestions into account, Mendelssohn rewrote the piano part, making it considerably more virtuosic and prominent. After the premiere of the work, Fanny Hensel and Robert Schumann also composed piano trios in D minor, helping to establish Mendelssohn’s Op. 49 as an important model for the Romantic piano trio. Indeed, Robert Schumann predicted a bright future for the work: “This is the master trio of our age... It is an exceedingly fine composition which will gladden our grandchildren and great-grandchildren for many years to come.” History proved him right.

Johannes Brahms – Piano Quintet in F Minor, Op. 34
Brahms composed his Piano Quintet between 1862 and 1864. The work had a complex genesis: it began as a string quintet, was then recast as a sonata for two pianos, and finally assumed its definitive form as a piano quintet. This transformation was shaped to a considerable extent by the advice of Clara Schumann and the violinist-composer Joseph Joachim, both of whom recognised the work’s potential in a more powerful and balanced instrumental setting. The Quintet was dedicated to Princess Anna of Hesse, a patron and supporter of Brahms’s music. Its premiere took place in Leipzig on June 22, 1866. The Piano Quintet in F Minor soon established itself as one of the masterpieces of nineteenth-century chamber music, admired for its structural mastery, dramatic intensity, and symphonic scope. It remains one of Brahms’s most frequently performed chamber works.

Meanwhile in Georgia...
In 1864, just as Brahms was completing the final version of the Quintet, Georgia entered one of the most consequential periods of social change in its modern history. On 13 October, the abolition of serfdom in the Tiflis Governorate was authorised. The reform did not bring immediate or complete freedom, but it marked the beginning of the end of a centuries-old feudal order and profoundly altered the country’s social life.